



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 60

„27“ სექტემბერი 2016 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის
მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-5 ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა მან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უპირობოდ, თხოვნის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით სოფელ რუისპირში მცხოვრებ ზურაბ ტერტერაშვილს (პირადი №20001014553) 2 წლის ვადით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე 3080 კვ.მ სასოფლო - სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 200 კვ.მ შენობა - ნაგებობა (ს/კოდი №53.11.36.004, მიწის ნაკვეთის ღირებულება 12 000 ლარი, შენობა - ნაგებობის ღირებულება 6000 ლარი, საერთო ღირებულება 18 000 ლარი);

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

